დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
2020 წლის 29 დეკემბრის №6 დადგენილებით, სხდომის ოქმი №8 (ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან).
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 31 აგვისტოს №8 დადგენილებით, სხდომის ოქმი №8, მმართველი საბჭოს 2025 წლის 24 თებერვლის №3 დადგენილებით, სხდომის ოქმი №3

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტრატეგია

2020 წელი

შინაარსი

დოკუმენტის შესახებ:..... 2

უნივერსიტეტის მისია: 2

ღირებულებები: 2

ხედვა:..... 3

სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები 3

უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობა 3

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება 4

სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება. 5

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. **6**

უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა..... **7**

დოკუმენტის შესახებ:

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის, როგორც ერთიანი ინსტიტუციისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითადად მიმართულებებს, უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 2020 წელს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მმართველ რგოლსა და სტრუქტურაში განხორციელდა ძირეული ცვლილებები. შეიცვალა უნივერსიტეტის ტოპ მენეჯმენტი, რომელსაც უნივერსიტეტის განვითარების განსხვავებული ხედვა ჰქონდა. სწორედ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით აუცილებელი გახდა სტრატეგიული დოკუმენტებისა და მისიის გადახედვა. ამასთან, ცვლილების განხორციელების დროს გათვალისწინებულ იქნა წინა წლების სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ანგარიშები და გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეები.

უნივერსიტეტის მისიაა:

- საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერება, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობა, როგორც უნივერსიტეტის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

ღირებულებები:

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი იზიარებს თანამედროვე, ევროპულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ასევე ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ ფასეულობებს. უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პატივისცემას, კრიტიკული, ანალიტიკური, პროგრესული და შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობის პრინციპებს, ასევე სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების პატივისცემას, ყველა სახის დისკრიმინაციის აკრძალვას, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპს.

ხედვა:

2027 წლისთვის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი წარმოადგენს რეგიონული და ეროვნული მნიშვნელობის აკადემიურ დაწესებულებას, რომელსაც უზრუნველყოფილი ექნება:

- რეგიონის ეკონომიკური სპეციფიკის შესაბამისი, შრომის ბაზართან თანხვედრაში მყოფი, ასევე სახელმწიფოს და საზოგადოების აკადემიური საჭიროებიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით;
- შესაძლებლობა რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევითი პროექტების განხორციელებისა, ახალი ცოდნის გენერაცია და დისემინაცია.
- რეგიონული და ეროვნული მასშტაბის ექსპერტულ ცენტრად ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს დაგროვილი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებასა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესს.

სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, ასევე უნივერსიტეტის რესურსების და არსებული გარემოს შეფასების საფუძველზე მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული პრიორიტეტები:

1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
3. სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება.
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.
5. უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა.

1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

უნივერსიტეტის სტაბილური განვითარებისთვის პრიორიტეტი ენიჭება ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის, როგორც ხარისხზე ორიენტირებული, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბრენდის განვითარებასა და ბაზარზე

დამკვიდრებას. როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება, სრულად იაზრებს მის როლსა და მნიშვნელობას, როგორც რეგიონის, ისე სახელმწიფოს განვითარებისა და ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში, აცნობიერებს ქვეყანაში არსებულ ფონს და შესაბამისად ცდილობს მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს. მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო სივრცეში სათანადოდ აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობები. ამ მიმართულების ქვეშ ასევე ერთიანდება ადგილობრივი და საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა. ეს უკანასკნელი იმით არის გამოწვეული, რომ ბრენდის განვითარება და ცნობადობის გაზრდა პირდაპირ კავშირშია სტუდენტთა რეკრუტინგთან.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისი მიმართულებით განსაზღვრული შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილია შემდეგი ამოცანების შესრულება:

- უნივერსიტეტის ცნობადობის და მის მიმართ ნდობის ამაღლება უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება ადგილობრივი აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

იმისთვის, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს სრულფასოვანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, რომ იგი ახორციელებდეს საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების სამივე საფეხურზე. ამასთანავე აუცილებელია, რომ პროგრამების განვითარება ხდებოდეს დროის რეალურ რეჟიმში, რათა თითოეული პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მიყვებოდეს უახლეს სამეცნიერო ტენდენციებსა და იმავდროულად ითვალისწინებდეს, როგორც რეგიონის, ისე - სახელმწიფოს საჭიროებებს პროფესიონალი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი კადრების მომზადების თვალსაზრისით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ერთი მხრივ აკადემიური პროგრამების განვითარების უწყვეტობის უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი.

მუშაობის პროცესი უნდა წარიმართოს ყველა დაინტერესებული მხარის: უნივერსიტეტის მმართველი გუნდის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, სამეცნიერო საზოგადოებისა და პოტენციური დამსაქმებლების, უნივერსიტეტის დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების მაღალი ჩართულობა.

შესაბამისად, მოცემული მიმართულება შემდეგ ამოცანებს აერთიანებს:

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა

3. სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება.

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, სასწავლო პროცესის განვითარება და მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, შესაბამისად, უნივერსიტეტი ცდილობს დანერგოს სწავლების ინოვაციური მეთოდები და გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტისთვის სასწავლო პროცესი წარმოდგენილია, როგორც უწყვეტი და ერთიანი პროცესი, შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება წარმოდგენილია კომპლექსურად, რაც გულისხმობს არამხოლოდ მოწვეული და აკადემიური პერსონალის სასწავლო შესაძლებლობების ზრდას, არამედ შეფასების, როგორც სისტემის, ისე საგამოცდო ცენტრის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და სტუდენტთათვის მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობის ზრდას.

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. მოცემული კომპონენტი მოიაზრებს არამხოლოდ მრავალფეროვანი და საინტერესო სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფას, არამედ სტუდენტებში უნივერსიტეტის ღირებულებათა პოპულარიზაციას; ასევე - სტუდენტების არამხოლოდ პროფესიონალ კადრებად ჩამოყალიბების, არამედ აქტიურ მოქალაქეებად ფორმირების ხელშეწყობასაც.

საუნივერსიტეტო საზოგადოების გაძლიერებისა და ფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხარისხიანი საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება, ასევე სტუდენტთა ინტერესებზე მორგებული საგანმანათლებლო, სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება.

ამასთანავე, უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუციის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სტუდენტების მონაწილეობაზე უნივერსიტეტის მართვაში, შესაბამისად მნიშვნელოვანია ძლიერი და ქმედითი სტუდენტური თვითმმართველობის არსებობა, ასევე პროგრამების განვითარების პროცესში მათი აქტიური ჩართულობა.

უნივერსიტეტის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პროცესი სრულად შეესაბამებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რაც თავის მხრივ ითხოვს ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმების არსებობას. აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას და უნივერსიტეტის ავტორიზაციის უწყვეტობას.

მოცემული სტრატეგიული მიმართულება გულისხმობს შემდეგ ამოცანებს:

- სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების დაფუძნება და არსებულის განვითარება;
- გარე პრაქტიკის გაძლიერება;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა;
- სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და სტუდენტური გუნდების გავითარება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა.

4.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტატუსიდან გამომდინარე მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ახალი ცოდნის გენერირების, უახლესი სამეცნიერო ტენდენციების გაზიარებისა და სრულფასოვანი კვლევითი ინფრასტრუქტურის არსებობის პირობებში შეუძლია უნივერსიტეტს სრულყოფილი ფუნქციონირება.

მოცემული მიმართულება პრიორიტეტულია იმ თვალსაზრისითაც, რომ იძლევა იმერეთის რეგიონსა და ზოგადად დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად შესუსტებული სამეცნიერო საზოგადოების გაძლიერების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეცნიერო კვლევითი პროცესის ხელშეწყობას და მიზნად შემდეგი ამოცანების შესრულებას ისახავს:

უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და პერიოდული გადახედვა; კვლევითი ინსტიტუტების დაფუძნება/განვითარება და ინტერნაციონალიზაცია; კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირების ხელშეწყობა; კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება, ხელშეწყობა და შედეგების გაზიარება.

5.უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა

რამდენადაც უნივერსიტეტი დინამიური ორგანიზმია, მისი მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურა იყოს მოქნილი და პასუხობდეს არსებული გარემოს მოთხოვნებსა და გამოწვევებს. შესაბამისად, უნივერსიტეტს სჭირდება მძლავრი ანალიტიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ანალიტიკურ მხარდაჭერას.

უნივერსიტეტის მდგრადობას ასევე განაპირობებს ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნება, მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა და როგორც კვალიფიკაციის, ისე - მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური ზრუნვა.

ადამიანური და საინფორმაციო რესურსების, ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარების პარალელურად უნივერსიტეტი სისტემატურად ზრუნავს მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და განახლებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციის განვითარება პროპორციულად ეხებოდეს, როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის განვითარებას. შესაბამისად მოცემული მიმართულება შემდეგ ამოცანებს აერთიანებს:

ორგანიზაციის მართვა ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა უნივერსიტეტის მატერიალური საინფორმაციო - ტექნოლოგიური რესურსის განვითარება და უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება.